

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში ექვსი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ

2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ამირჩიეს სოფელ ღვანკითის მაჟორიტარად და გავხდი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. აგრეთვე ამირჩიეს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ, ამ კომისიაში გაერთიანებულია კომისიის 12 წევრი.

2017 წლის 7 დეკემბერს მოვიწვიეთ კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილებები. აღნიშნული დადგენილება ეხებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულებაში ცვლილებების შეტანას. სამწუხაროდ ვერ მოხდა საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული ცვლილებების განხორციელება (იხ.დანართი№1).

კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად სხვადასხვა ფორმატშიც განვიხილეთ პრობლემური საკითხები. ამ ფორმატში მოვიწვიეთ კულტურისა და განათლების სფეროში არსებული დაწესებულებების ხელმძღვანელები და მოვისმინეთ ინფორმაცია მათი მუშაობისა და პრობლემების შესახებ. ასევე დავამკვიდრეთ პრაქტიკა ადგილზე შეგვესწავლა ეს პრობლემები და გვეზრუნა მათი გადაჭრის გზებზე. შემოვიარეთ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული მუზეუმები, რამდენიმე საბავშვო ბაღი, სპორტ სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრი. იქ არსებული პრობლემები კი წარვუდგინეთ აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამ კუთხით კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას კომისიის წევრებთან ერთად.

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო განიხილავს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარდგენილ ახალი წლის ბიუჯეტის პროექტს. მე პირადად, როგორც საკრებულოს წევრი, აქტიურად ვიყავი ჩართული 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში. ამასთან დაკავშირებით არსებობს ინიციატივა, ოფიციალურად რეგისტრირებული, თუ რა სახის შენიშვნები მქონდა ახალ ბიუჯეტთან დაკავშირებით.

2018 წლის 27 დეკემბერს მოწვეული იქნა კომისიის სხდომა, რომელზეც განვიხილეთ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული სტანდარტების, დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქვევისა და ეთიკის ნორმების, შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის პროგრამის მიწოდების, მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ რეგულაციები (იხ.დანართი №2).

აღნიშნულ საკითხებს არაერთი სხდომა მიუძღვენით იურიდიულ კომისიასთან ერთად. საკითხი გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული მცირე შესწორებებით.

2018 წლის 17 იანვარს მოწვეული იქნა კომისიის სხდომა, რომელზეც განვიხილეთ „თერჯოლის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება“, კომისიის წევრების აქტიურობით, მცირე შენიშვნებით, დებულება გადაეგზავნა საკრებულოს ბიუროს და დამტკიცებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე (იხ. დანართი №3).

ამჟამად კომისია მუშაობს ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხების განკარგვის წესით დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ექვსი თვის მუშაობის მანძილზე მივიღეთ მრავალი მოსაწვევი კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. შეძლებისდაგვარად ვახერხებდით მათზე დასწრებას.

რადგან ვარ სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობაც, იმისათვის, რომ სოფელ დვანკითის მოსახლეობას ქონდეს მუდმივად წედომა მათ დეპუტატთან, კვირაში ერთი დღე, ოთხშაბათი, არის ამომრჩევლებთან შეხვედრის დღე, რომლის შესახებაც მოსახლეობა ინფორმირებულია და მუდმივად გვაქვს კომუნიკაცია.

სოფლის ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან ერთობლივ რეჟიმში გვიწევს სოფლის პრობლემების მოძიება და მათი გადაჭრა.

მოგეხსენებათ სოფელში უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს წყლის სისტემის რეაბილიტაცია. პროექტს „საუკუნის პროექტი“-ც კი უწოდა ცენტრალურმა ხელისუფლებამ მისი გრანდიოზულობიდან გამომდინარე. პირველი ეტაპი თითქმის დასასრულს უახლოვდება და მშენებელ კომპანიასთან ერთად მუდმივ რეჟიმში გვიწევს მოქმედება. მალე 250 ოჯახი მიიღებს წყალს, ხოლო მეორე ეტაპის დასაწყებად გველა სახის დოკუმენტაცია მზად არის ტენდერის გამოსაცხადებლად. ამასთან დაკავშირებით არაერთხელ ვიყავი მივლინებული მუნიციპალური განვითარების ფონდში.

ის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში ნაკლებად არის ხარჯები სოფლისთვის გათვალისწინებული, ფაქტია სოფლის პროგრამების არარსებობაც დიდი დანაკლისია სოფლებისთვის, მაგრამ ჩვენ დეპუტატი, სოფლის წარმომადგენელი და სპეციალისტები საკუთარი ძალებით ვცდილობთ პრობლემების მოგვარებას. მაგალითად, ცოტა ხნის წინ კეთილმოვანყვეთ სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოს ტერიტორია, ასევე რეაბილიტაცია გავუკეთეთ იქ არსებულ ინვენტარს. ასევე დაგეგმილი გვაქვს შენობის რეაბილიტაცია.

ამ ექვსი თვის განმავლობაში მივიღეთ მრავალი ადამიანი და გავუწიეთ რეკომენდაცია რაიონის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამებით სარგებლობისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: ს. ბუსკივაძე